საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავნასყიდი

თავნასყიდი, გლეხთა კატეგორია შუა საუკუნეების საქართველოში. თავნასყიდობა ქვეყნის ეკონ. დაკნინების შედეგად გაჩენილი მოვლენა და „ნებით“ ყმობის ყველაზე მძიმე პირობათაგანი იყო. თ. იყო ეკონ. დაბეჩავებული პირი, რ-საც შეძლებული გამოიხსნიდა უკიდურესი გაჭირვებისაგან – ტყვეობიდან (ლეკის ან თათრის), დიდი ვალისაგან, სისხლის სამართლის დანაშაულისაგან (როდესაც დამნაშავეს არ შეეძლო „სისხლის ფასის გადახდა"); ზოგჯერ თ. პირადი ანგარიშსწორების მიზეზითაც ხდებოდა. თავნასყიდობა წერილობით ფორმდებოდა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ახ. პატრონის გაჩენა საკუთარი „ნება-წადილით" ხდებოდა და თავნასყიდობა არ იყო სამემკვიდრეო მოვლენა. დროთა ვითარებაში თ-ის მდგომარეობა შეიძლებოდა შეცვლილიყო. თ-ის ფუნქციები სხვადასხვა იყო, ძირითადი – ფიზ. დატვირთვა – რაც მას მონის მდგომარეობასთან ათანაბრებდა (საბა: მონა – „ნასყიდი ბიჭი"). თ. ფეოდ. საზ-ბაში ყველაზე დაბალ სოც. ფენაზე – „ნასყიდზე" უფრო დაკნინებული კატეგორია იყო.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ა ძ ე დ., გლეხობის კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XVII–XVIII სს.), თბ., 1979.

დ. მეგრელაძე